603 N6409

პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი
1 აპრილი,
1958 წელი
№ 39 (1209)
ფასი 30 კაპ.
გამოცემის მე-14 წელი.

ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარე წლის ზაფხულში მოსკოვში გაიმართება მსოფლიო პირველობა ტანვარჯიშში. ჩვენი ქვეყნის სპორტსმენები საცხოველებით ემზადებიან ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებისათვის.

• • •

სურათზე: ამას წინათ დამთავრებულ მოსკოვის პირველობაზე გამარჯვებული სოფიო მურატოვა დვირზე ვარჯიშის დროს.

ფოტო ლ. დორენსკისა
საკდესის ფოტოქრონიკა

ამერიკელი კალათბურთელები და ირანელი მოკრივეები ჩამოვლენ თბილისში

მიმდინარე წლის აპრილს თბილისში გაიმართება მეტად საინტერესო საერთაშორისო მატჩები. 28 აპრილს თბილისის ვაუ კალათბურთელთა ნაკრები გუნდი შეხვდება ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებ გუნდს. ამავე დღეს აქვე ითამაშებენ ესტონეთისა და ამერიკის კალათბურთელი ქალები. 29 აპრილს თბილისის ქალთა ნაკრები გუნდი შეხვდება ამერიკის ქალთა ნაკრებ გუნდს, ხოლო ამერიკის ვაუთა გუნდი — აზერბაიჯანის ნაკრებს.

15 აპრილს თბილისში გაიმართება საერთაშორისო შეხვედრა კრივში ირანისა და თბილისის ნაკრებ გუნდებს შორის.

შეხვედრების ჩატარება განზრახულია „დინამოს“ სტადიონზე.

ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში დამთავრდა საერთაშორისო შეჯიბრება ციგურებით ფიგურულ სრიალში.

სურათზე: წყვილთა შეჯიბრებაში გამარჯვებული ჩეხი სპორტსმენები ვერა სუხანკოვა და ზდენეკ დოლეჟალი.

ფოტო ლ. დორენსკისა
საკდესის ფოტოქრონიკა.

ლელო ეპტჩი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბა, რითაც ხელთ იგდო ინიციატივა.
სმისლოვი ზედმიწევნით კარგად თამაშობს გრიუნფელდის დაცვას. ეს კიდევ ერთხელ დაამოწმა ბოტვინიკთან ოთხთამაშის IV პარტიამ. მაგრამ სმისლოვი რატომღაც უფრო ხშირად ძველინდურ დაცვას ირჩევდა. ჩანს იგი დარწმუნდა არჩევანის სიმცდარეში და X პარტიაში, რომელიც 29 მარტს შედგა, ისევ გრიუნფელდის დაცვას დაუბრუნდა. მაგრამ ბოტვინიკი არ აჰყვა მას. პარტიამ ინგლისური დაწყების დამახასიათებელი ბრძოლის სურათი მიიღო.

ბოტვინიკმა მალე გამოამჟღავნა თავისი შედარებით მშვიდობიანი მისწრაფებანი. მეფის ფრთაზე აქტიური ოპერაციების ნაცვლად მან თავის ფიგურებს თავი მოუყარა მეორე ფრთაზე. სმისლოვი მეთოდურად ამზადებდა გარღვევას ლაბიერის ფრთაზე, თუმცა მას შეეძლო მე-11 სვლაზე მწვავე გაგრძელების არჩევა. მე-17 სვლისათვის გაიცვალა რამდენიმე ფიგურა. ბოტვინიკმა ჯეროვნად ვერ შეაფასა შავების პოზიციის შესაძლებლობა და სმისლოვმა მოახერხა გარღვევის განხორციელება.

27 მარტს სვერდლოვსკში დაიწყო „ბ“ კლასის კალათბურთელთა გუნდების საკავშირო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქალთა და ვაჟთა კოლექტივები. ქვეჯგუფში, რომელშიც გამოდიან ჩვენი კალათბურთელები (ქალთა შორის) არიან: კლაიპედას „ყალგირისი“, ტალინის „დინამო“, ოდესის „ბურევესტნიკი“, ტაჯიკეთის ნაკრები და პენზის „ბურევესტნიკი“.

პირველ დღეს თბილისელი კალათბურთელები შეხვდნენ ლიტველ სპორტსმენებს. მატჩის პირველ ნახევარში უპირატესობა „ყალგირისის“ მხარეს იყო, მაგრამ უკანასკნელ წუთებზე სტუდენტებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და ტაიმი თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს — 22:17. მეორე ნახევარშიც უპირატესობა თბილისელთა მხარეს იყო. მათ გათამაშებას ცხრილში ჩაიწერეს პირველი ქულა, მოიგეს რა შეხვედრა ანგარიშით — 48:44. ძლიერად ჩაატარა მატჩი გენგაშვილმა რომელმაც თავის გუნდს 19 ქულა მისცა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჟთა გუნდი ქვეჯგუფში იბრძვის ხაბაროვსკის ოსკ-ასთან, კიევის ფიზკულტურის ინსტიტუტის, მინსკის „სპარტაკის“, როსტოვის „ბურევესტნიკისა“ და ერევნის გუნდებთან ერთად. პირველ ტურში თბილისელი სტუდენტები თამაშობდნენ ერევნის ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელებთან. ეს შეხვედრა ჩვენმა სპორტსმენებმა სუსტად ჩაატარეს. პირველ ნახევარში უპირატესობა ერევნელთა მხარეს იყო, რომლებმაც მოიგეს ტაიმი 32:21. მეორე ოც წუთში თბილისელები გააქტიურდნენ და აჯობა 7,1 წამით. ლ. კრილოვას შედეგია — 3.10,7.

• • •

გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ ჯილდოზე ტრამპლინიდან წყალში ეხტომელთა საკავშირო შეჯიბრებაზე მონაწილეობდნენ სსკ-მოს, „ყალგირისის“, „განთიადის“, „ტრუდის“ და სხვა გუნდები. 3 დღის სპორტულად დაძაბული ბრძოლების შემდეგ გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის კოლექტივმა, მეორეზეა „დინამო“, მესამეზე — „ყალგირისი“. საქართველოს სპორტსაზოგადოება „განთიადის“ სპორტსმენებმა დაიკავეს მეექვსე ადგილი.

პირად პირველობაზე უძლიერესის სახელი მოიპოვეს: ერთმეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში — 13 წლის ლენინგრადელმა გ. კრუშინინამ, ბიჭებში — პ. ზიაპკუსმა. უფროსი ასაკის გოგონებში ნ. სტატკუტემ, ჭაბუკებში — ვ. შუკეკეიჩუსმა (ყველა „ყალგირისი“).

• • •

კიევში მოწყობილ წყალბურთელთა საკავშირო შეჯიბრებაზე მონაწილეობს 12 გუნდი. აქედან 2 თბილისის — „დინამო“ და „ბურევესტნიკი“. პირველ ფინალურ ჯგუფში გასვლისათვის ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის გუნდები. მატჩი მოიგო „დინამომ“ ანგარიშით 5:4 და მოიპოვა უძლიერესებთან ბრძოლის უფლება.

„ლუმანიტეს“ კროსი

გასულ კვირას პარიზის გარეუბანში ჩატარდა გაზეთ „ლუმანიტეს“ ტრადიციული მძლეოსნური კროსი, რომელშიც მონაწილეობდნენ საფრანგეთის, სსრ კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ავსტრიის, პოლონეთის, ბელგიის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლები.

დასრულ ადგილმდებარეობაზე როგორც ვაჟებს (10 კმ), ისე ქალებს (2 კმ) უნდა გადაელახათ რამდენიმე წინაღობა. ვაჟთა შორის პირველი ადგილი დაიკავა პოლონელმა სტაინერმა პშიშკოვიაკმა, რომელმაც დისტანცია გაირბინა 30 წუთსა და 50 წამში. ქალთა შორის ფინიშთან პირველი იყო ეკმოლაევა (სსრ კავშირი) — 7 წუთი 45 წამი.

გუნდურ ჩათვლაში ისევე, როგორც გასულ წლებში, პირველი ადგილი დაიკავეს საბჭოთა კავშირის მძლეოსნებმა.

აპრილეგების დღეებში

☆

მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგების პერიოდში მოსკოვსა და კიევში მიმდინარეობს მოსწავლეთა საკავშირო შეჯიბრებები ტენისში, ხტომასა და წყალბურთში.

მოსკოვის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის საცურაო აუზში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ ჯილდოს ერთმანეთს ეცილება ბავშვთა სპორტული სკოლების 500 სპორტსმენი. განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად ლენინგრადელ გოგონას ლ. ვიქტოროვას, რომელმაც 100 მეტრზე ზურგზე ცურვაში მანძილი დაფარა 1 წუთსა და 16,3 წამში. ეს შედეგი 0,9 წამით უკეთესია სტალინგრადელ გ. კამაევას საკავშირო რეკორდზე.

საინტერესოდ წარიმართა თავისუფალი სტილით 100 მეტრზე ცურვის ფინალი. ჭაბუკთა შორის პირველობისათვის ბრძოლა გაიმართა მოსკოველ ა. მაქსიმოვსა და თბილისელ ვ. კობეკოის („დინამო“) შორის. გაიმარჯვა პირველმა, რომელმაც მანძილი დაფარა 1 წუთსა და 03,2 წამში. თბილისელის დროა 1.03,7. მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვა ავრეთვე თბილისელმა ბ. ლეჟავამ 100 მეტრზე ზურგზე ცურვაში — 1.20,9 ამ დისტანციაზე გამარჯვებული გამოვიდა ლენინგრადელი ლ. პრიეკოვი— 1.19,7.

წარმატება მოიპოვა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ლ. კრილოვამ ბრასის სტილით 200 მეტრზე ცურვაში, რომელიც ფინიშთან პირველი იყო და უახლოეს მეტოქეს მოსკოველ ლ. კორობოვას

ვინ იმსაჯებს შვეიცარიაში

როგორც ამას წინათ ცნობილი გახდა, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ დაამტკიცა იმ მსაჯთა სია, რომლებსაც მიენდო ფეხბურთის მსოფლიო პირველობის ფინალური მატჩების ჩატარება შვეიცარიის სტადიონებზე.

ამ სიაში ყველაზე დიდი რაოდენობით წარმოდგენილი არიან შვედი მსაჯები — 6. 2-2 მსაჯია ინგლისიდან, დანიიდან და ნორვეგიიდან, თავიანთ წარმომადგენლებს გამოგზავნიან ავრეთვე საფრანგეთი, იტალია, არგენტინა, ესპანეთი, ავსტრია, ბელგია და სხვ.

სსრ კავშირიდან იმსაჯებს საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ნ. ლატიშევი. იგი იმსაჯებს პირველ მატჩში შვეიცარიისა და მექსიკის გუნდებს შორის.

8 ივნისის მატჩს სსრ კავშირისა და ინგლისის გუნდებს შორის ჩაატარებს უნგრელი მსაჯი იშტვან ჟოლტი. სსრ კავშირისა და ავსტრიის შეხვედრა დაევალა ერგენსენს (შვეიცია), ხოლო მატჩი სსრ კავშირი-ბრაზილია ფრანგ გიკს.

უნივერსიტეტის კალათბურთელთა სამი მოგება

დაიწყო „ბ“ კლასის კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი

27 მარტს სვერდლოვსკში დაიწყო „ბ“ კლასის კალათბურთელთა გუნდების საკავშირო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქალთა და ვაჟთა კოლექტივები. ქვეჯგუფში, რომელშიც გამოდიან ჩვენი კალათბურთელები (ქალთა შორის) არიან: კლაიპედას „ყალგირისი“, ტალინის „დინამო“, ოდესის „ბურევესტნიკი“, ტაჯიკეთის ნაკრები და პენზის „ბურევესტნიკი“.

პირველ დღეს თბილისელი კალათბურთელები შეხვდნენ ლიტველ სპორტსმენებს. მატჩის პირველ ნახევარში უპირატესობა „ყალგირისის“ მხარეს იყო, მაგრამ უკანასკნელ წუთებზე სტუდენტებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და ტაიმი თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს — 22:17. მეორე ნახევარშიც უპირატესობა თბილისელთა მხარეს იყო. მათ გათამაშებას ცხრილში ჩაიწერეს პირველი ქულა, მოიგეს რა შეხვედრა ანგარიშით — 48:44. ძლიერად ჩაატარა მატჩი გენგაშვილმა რომელმაც თავის გუნდს 19 ქულა მისცა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჟთა გუნდი ქვეჯგუფში იბრძვის ხაბაროვსკის ოსკ-ასთან, კიევის ფიზკულტურის ინსტიტუტის, მინსკის „სპარტაკის“, როსტოვის „ბურევესტნიკისა“ და ერევნის გუნდებთან ერთად. პირველ ტურში თბილისელი სტუდენტები თამაშობდნენ ერევნის ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელებთან. ეს შეხვედრა ჩვენმა სპორტსმენებმა სუსტად ჩაატარეს. პირველ ნახევარში უპირატესობა ერევნელთა მხარეს იყო, რომლებმაც მოიგეს ტაიმი 32:21. მეორე ოც წუთში თბილისელები გააქტიურდნენ და უკანასკნელ წამებზე გათანაბრეს ანგარიში — 50:50. დამატებით ხუთ წუთში თბილისელებმა დაუშვეს რამდენიმე შეცდომა და წააგეს მატჩი — 63:66.

შემდეგი შეხვედრა თბილისის ქალთა გუნდმა ჩაატარა ტაჯიკეთის კოლექტივთან. ყველასათვის მოულოდნელად ტაჯიკმა სპორტსმენებმა მეტად აგრესიულად ჩაატარეს პირველი ნახევარი და მოიგეს იგი — 27:25. მეორე ნახევრის პირველსავე წუთებიდან თბილისელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა. მათ უფრო ენერგიულად და მონდომებით შეუტიეს მოწინააღმდეგეს და შეძლეს თამაშის გარდატეხა. შეხვედრა მოიგო თბილისის გუნდმა—51:41. ამ დღეს უნივერსიტეტის ვაჟთა გუნდმა დაამარცხა ხაბაროვსკის კოლექტივი და გათამაშების ცხრილში ჩაიწერა პირველი ქულა (93:61).

ხაბაროვსკის გუნდთან გამარჯვება ძვირად დაუჯდა თბილისელებს. ტრავმის გამო, შემდეგ თამაშზე (კიევის ფიზკულტურის ინსტიტუტის წინააღმდეგ) ვერ გამოვიდნენ თბილისელთა ძირითადი მოთამაშეები ჩარჩოლიანი და ვაჩეიშვილი. თამაშის პროცესში კი ტრავმა მიიღო გუნდის მესამე წევრმა ჭიჭინაძემ. შესუსტებული შემადგენლობით თბილისელებს გამარჯვების შანსი აღარ ჰქონდათ და მათ წააგეს კიდეც შეხვედრა დიდი ანგარიშით.

უნივერსიტეტის ქალთა გუნდმა მოიპოვა მორიგი და მეტად სპატიო გამარჯვება ტალინის „დინამოზე“— 51:42. ამ მოგებით თბილისის კალათბურთელებმა მტკიცედ დაიკავეს ლიდერის მდგომარეობა ქვეჯგუფში.

ი. გოლემბიოვსკი,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

ᲮᲣᲠᲐᲗᲘᲗ: Ხ. Ვ. ᲙᲘᲠᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝᲑᲘᲗ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠ ᲜᲘᲩᲑᲝᲡᲜᲝᲑᲐᲨᲘ.

ფოტო Მ. ᲖᲐᲠᲒᲐᲠᲘᲐᲜᲘᲩᲐ.

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲝᲢᲝᲪᲘᲙᲚᲘᲡᲢᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲘ Ხ. ᲠᲣᲮᲐᲫᲔ ᲡᲝᲮᲣᲛᲨᲘ ᲜᲐᲣᲝᲤᲘᲔᲠ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲐᲬᲔᲕᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: Ხ. ᲠᲣᲮᲐᲫᲔ (ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲕ) ᲛᲝᲠᲘᲒ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲐᲖᲔ.

ფოტო Ხ. ᲟᲔᲚᲢᲘᲙᲝᲕᲘᲡᲐ.

ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲛᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲖᲝᲒᲐᲓᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲓᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲖᲝᲒᲐᲓᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ. 1957 ᲬᲔᲚᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ 103 ᲐᲗᲐᲡᲘᲗ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲨᲔᲯᲘᲒᲠᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ, ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ, ᲠᲐᲛᲐᲪ ᲮᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲬᲧᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐᲖᲔ.

ᲔᲠᲗᲒᲐᲕᲐᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲨᲔᲘᲛᲩᲜᲔᲕᲐ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲜᲐᲙᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲘ.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲛᲔ-5 ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ (ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ — Დ. ᲛᲐᲛᲤᲝᲠᲘᲐ, ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲡ�წᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘ — Ი. ᲭᲐᲜᲢᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ) ᲐᲠ ᲒᲐᲐᲩᲜᲘᲐᲗ ᲙᲚᲐᲡᲒᲐᲠᲔᲨᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲠᲘᲐ, ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲡ�წᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘ — Ი. ᲭᲐᲜᲢᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ) ᲓᲐ ᲒᲐᲐᲩᲜᲘᲐᲗ ᲙᲚᲐᲡᲒᲐᲠᲔᲨᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲠᲘᲐ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲓᲐᲛᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲚᲐᲡᲔᲑᲘᲡ

ახალმა შემადგენლობამ გაამართლა

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 30 მარტი.

„დინამო“ (თბილისი) — თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდი (მოსკოვი) — 2:1 (1:1)

ცსკ მო: რაზინსკი; პერევალოვი, შჩერბაკოვი, კრუტიკოვი; ლინიაევი, ბეცა; აპუხტინი, ფახურდინოვი (ლოპაევი), ბუზუნოვი, ბელიაევი, ემიშევი.

„დინამო“: კვაჭაძე; კოტრიკაძე, სიჭინავა, ხოჭოლავა, ხუნდაძე, ლოლობერიძე; ხასაია, ბარქაია, მელაშვილი, იამანიძე (ნორაკიძე), დალაქიანი.

მსაჯი ვ. ბოგდანოვი (ლენინგრადი).

მოსკოვის არმიელთა თამაშში პირველსავე წუთებიდან ცხადად იგრძნობოდა, რომ მათი მიზანი იყო გამოეყენებინათ მოწინააღმდეგის სუსტი მხარეები, რომლებიც შემჩნეულ იქნა მატჩში მოსკოვის „დინამოსთან“ მატჩს ესწრებოდა გუნდის მწვრთნელი ვ. ბობროვი). ნახევარდაცვა და შუამარბები სრული ძალით ამოქმედდნენ მინდვრის შუაგულში ინიციატივის აღებისათვის, ხოლო თავდასხმის ცენტრი ბუზუნოვი წინ იქნა წაწეული სწრაფი გარღვევისა და კარის უშუალო შტურმისათვის. ანგარიში უბრალო და სწორი იყო — თუ ფახურდინოვი და ბელიაევი მოუგებდნენ ბრძოლას „დინამოს“ ნახევარმცველებს, ძნელი არ იქნებოდა ისეთი „ბომბარდირის“ გაყვანა საბოლოო დარტყმისათვის, როგორიცაა ბუზუნოვი.

მაგრამ დინამოელებმა ამ დღეს სწორედ მინდვრის შუაგულში ითამაშეს ძლიერად. ძველებური ოსტატობით, გროსმაისტერულად თამაშობდა ლოლობერიძე, რომელიც უშეცდომოდ ასრულებდა დაცვითს ფუნქციებს და მოწინააღმდეგეს არ აძლევდა შეტევის გაშლის საშუალებას. გარდა ამისა, მისი გრძელი გადაცემები ყოველთვის დროულად და ზუსტად ეგზავნებოდა თავდამსხმელებს. დაუღალავად მუშაობდა თავის ზონაში ხუნდაძეც.

შესანიშნავად ჩაატარა მატჩი „დინამოს“ ცენტრალურმა მცველმა სიჭინავამ. ყველაზე სახიფათო ზონა კარის წინ მას ისე ჰქონდა ჩაკეტილი, რომ ბუზუნოვი, რომელიც ბურთის გატანის ოსტატად ითვლება, მთელი თამაშის განმავლობაში არც ერთხელ არ წარმოადგენდა რაიმე რეალურ საშიშროებას მასპინძელთათვის. ახალგაზრდა ფეხბურთელის დებიუტმა გუნდში ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. გარდა თავის ძირითად მოვალეობათა პირნათლად შესრულებისა, სიჭინავა წარმატებით იბრძოდა ფლანგებზეც, სადაც არმიელთა სწრაფი გარემარბები ხშირად გადიოდნენ შეტევაზე.

მოსკოველთა თამაშს მალე დაეტყო ნერვიულობა. მას შემდეგ, რაც ვერ იქნა მიღწეული მთავარი მიზანი — უპირატესობის მოპოვება ცენტრში, დაირღვა ურთიერთმოქმედება ხაზებს შორის, ზედიზედ იქნა დაშვებული შეცდომები დაცვაში. ერთ-ერთი ასეთი შეცდომა მოსკოველებს გოლად დაუჯდათ: რაზინსკიმ მცველის მიერ მოწოდებული ბურთი ხელით აიღო საჯარიმო მოედნის გარეთ. ხასაიამ საჯარიმო დარტყმა კარის წინ გაგზავნა და იამანიძემ ახლო მანძილიდან გახსნა ანგარიში — 1:0.

კარგად თამაშობდა „დინამოს“ თავდასხმა პირველი ტაიმის განმავლობაში. იერიშს ჰქონდა განუწყვეტელი, სისტემატური ხასიათი, ბურთის მოძრაობა პარტნიორებს შორის ზუსტი გრაფიკით წარმოებდა და სტუმრების დაცვა ხშირად მხოლოდ იმით ახერხებდა კარის ხსნას, რომ პირით ხაზს იქით იგერიებდა ბურთებს. განსაკუთრებით აქტიური იყო მარჯვენა ფრთა: ბარქაია-ხასაია.

და მით უფრო საყურადღებოა ის გოლი, რომელიც თბილისელებმა მიიღეს თავიანთ კარში ასეთი უპირატესობისას. სრულიად მარტივ სიტუაციაში „დინამოს“ საჯარიმო მოედანთან დატოვებულ იქნა გრძელი „დერეფანი“, სადაც ბელიაევმა მიაწოდა ბურთი აპუხტინს. აქ ხოჭოლავამ ტექნიკური შეცდომა დაუშვა და არმიელთა გარემარბმა გაათანაბრა ანგარიში — 1:1.

მეორე გოლი თბილისელებმა გაიტანეს მეორე ტაიმში, მას შემდეგ, რაც არ იქნა გამოყენებული რამდენიმე კარგი შესაძლებლობა. მე-20 წუთზე ნორაკიძემ წამოიწყო კომბინაცია, ხასაია მარჯვენა მხრიდან მიუახლოვდა კარს და გადააწოდა ბურთი მარცხნივ, აქ დალაქიანმა კარგად შეაფასა მდგომარეობა და ძლიერად დაარტყა კარში — 2:1.

დაახლოებით ათიოდე წუთის განმავლობაში თამაში კვლავ სტუმრების კართან მიმდინარეობდა. ორი მეტად ძლიერი ბურთი აიღო რაზინსკიმ მელაშვილისა და ბარქაიასაგან, გაჭირვებით იქნა მოგერიებული რამდენიმე კუთხური საჯარიმო...

დადგა მწვავე ცაიტნოტის პერიოდი არმიელთათვის. მათი ძირითადი ძალები მთლიანად თავდასხმაში იქნა გადასროლილი და ბოლო 15 წუთის განმავლობაში ბურთი თითქმის არ მოსცილებია თბილისელთა ნახევარს. დინამოელთა ფორვარდები მცირე დახმარებასაც ვერ უწევდნენ თავიანთ უკანა ხაზებს და მცველები იძულებული იყვნენ მათი მხარდაჭერის გარეშე ებრძოლათ რიცხვობრივად ჭარბი მოწინააღმდეგის ძალებთან. მათ შეძლეს გამკლავებოდნენ ამ გამძაფრებულ იერიშებს. კვლავ გამოიჩინეს თავი ლოლობერიძემ და სიჭინავამ, დამჯერებლად იღებდა ბურთებს კვაჭაძე.

90 წუთი გავიდა. თბილისის „დინამომ“ უაღრესად მძიმე ბრძოლაში შეძლო შეენარჩუნებინა ანგარიში 2:1 თავის სასარგებლოდ.

ბ. ქორქია

* * *

სურათებზე: (ზევით) სახიფათო მომენტი მოსკოველთა კართან. მარცხნიდან მოწოდებულ იქნა კუთხური საჯარიმო. ხასაიამ (მარცხნივ) თავით გაგზავნა ბურთი კარისაკენ, მაგრამ იგი სულ მცირე მანძილით აცდა კარს. (ქვევით) ბრძოლა ბურთისათვის აპუხტინსა (მარცხნივ) და ხუნდაძეს შორის.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ეროვნული პიროლიმპიადა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 აპრილისათვის

ძირითადი შემადგენლობანი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ლოკომოტივი“	2	1	1	0	3:0	3
„დინამო“ კ.	2	1	1	0	6:2	3
„ტორპედო“	2	1	1	0	3:1	3
„დინამო“ მ.	2	1	0	1	6:2	2
„სპარტაკი“	2	0	2	0	2:2	2
„დინამო“ თბ.	2	1	0	1	3:7	2
„შახტიორი“	2	1	0	1	1:3	2
„ზენიტი“	1	0	1	0	0:0	1
„კრ. სოვეტოვი“	1	0	1	0	0:0	1
„მოლდოვა“	2	0	1	1	2:4	1
ცსკ მო	1	0	0	1	1:2	0
„ადმირალტეეცი“	1	0	0	1	1:5	0

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში

თიანეთი

თიანეთის კულტურის სახლში ორ დღეს მიმდინარეობდა რაიონის პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში, რომელიც ლენინური კომკავშირის დაარსების მე-40 წლისთავისადმი იყო მიძღვნილი. გუნდური პირველი ადგილი დაიკავა სოფლის საშუალო სკოლის მოჭიდავეთა გუნდმა. წონითი კატეგორიების მიხედვით რაიონის ჩემპიონები გახდნენ: გ. ბიჩინაშვილი, ჯ. ქართველიშვილი, კ. ჭრელოშვილი, ო. ბერეულაშვილი, გ. ბოღრაშვილი, ი. ბერიძულაშვილი, ვ. სუარიშვილი და ო. ადუაშვილი.

ო. ჯამაგიძე

ღაგოდეხი

ორ კვირაზე მეტ ხანს გაგრძელდა ჭიდასაკოლექტივო შეჯიბრებები ღაგოდეხის რაიონის სოფელ ლელიანის საშუალო სკოლაში.

კალათბურთში გოგონებს შორის ძლიერესი აღმოჩნდა XI[1] კლასი, ბიჭთა შორის — XI[3] კლასი, ფრენბურთში — ვაჟთა შორის XI[2] კლასი, გოგონათა შორის — XI[1] კლასი.

სინტერესოდ ჩატარდა აგრეთვე ჭიდასასკოლო შეჯიბრება მძლეოსნობაში (რბენა 100, 400, 800 მეტრზე, სიმაღლეზე და სიგრძეზე ხტომა, ყუმბარის ტყორცნა).

გ. ბაგაური

ონი

ონში გაიმართა რაიონის პირადგუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ექვსი კოლექტივის 55 სპორტსმენი. გუნდური პირველი ადგილი დაიკავა ონის მეორე საშუალო სკოლის მოჭიდავეთა კოლექტივმა. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს ზ. გობეჯიშვილმა, ე. კობერიძემ, ვ. ჯაფარიძემ, დ. ბაკურაძემ, ლ. გობეჯიშვილმა, გ. ხიდეშელმა, ნ. გობეჯიშვილმა და ო. ლობჟანიძემ.

სულ პირველობის მსვლელობაში ჩატარდა 99 შეხვედრა. აქედან სუფთად დამთავრდა 53 ბრძოლა, ხოლო ქულებით — 43. სამ შეხვედრაში აღნიშნული იქნა ფრე.

ა. მეტრეველი

იარაღებთან არიან ნორჩი ტანმოვარჯიშეები

თბილისის ლენინის სახელობის სპორტდარბაზში 27 მარტს დაიწყო მოზარდთა რესპუბლიკური შეჯიბრება ტანვარჯიშში. პირველი ჯგუფის გუნდებისათვის პროგრამაში შედის ტანვარჯიშის სამივე სახეობა (სპორტული ტანვარჯიში, მხატვრული ტანვარჯიში და აკრობატიკა) და გუნდურ ჩათვლაში შედის ტანმოვარჯიშეთა 12 საუკეთესო შედეგი. მეორე ჯგუფში შეჯიბრება მიმდინარეობს მხოლოდ სპორტულ ტანვარჯიშში. აღსანიშნავია, რომ შეჯიბრებაზე წარმოდგენილი არიან ნორჩი ტანმოვარჯიშეები რესპუბლიკის მრავალი ქალაქიდან და რაიონიდან.

მეორე ჯგუფის გუნდებს შორის პირველი ადგილი მოიპოვეს ზუგდიდელმა ტანმოვარჯიშეებმა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ხაშურისა და ლანჩხუთის გუნდები.

აკრობატთა შეჯიბრებაში აღსანიშნავია პერიფერიების წარმომადგენელთა კარგი შედეგები. მაგალითად, ჭაბუკ მხტომელთა შორის, რომლებიც გამოდიოდნენ მოზრდილთა პირველ თანრიგში, საუკეთესო აღმოჩნდა ა. კოსტინი (აფხაზეთი), რომელმაც მიიღო 70 ქულა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ნ. მახარაძე (თბილისი) და თ. წვერავა (ქუთაისი). გოგონათა შორის ამავე თანრიგში გამარჯვებული გამოვიდა აჭარის გუნდის წარმომადგენელი ს. სარუხანიანი — 71,6 ქულა. რაც შეეხება მოზარდთა პირველ თანრიგს, ხტომებში გოგონათა შორის აქ სათანრიგო ნორმატივი შეასრულა ტ. ტოკარევამ (რუსთავი).



თბილისელი აკრობატები კ. გოლეგოვი და რ. აგაჯანოვი ძალისმიერ წყვილთა მუშაობაში პირველები იყვნენ მოზრდილთა I თანრიგში.

დიდ ინტერესს იწვევდა პირველი ჯგუფის გუნდების ბრძოლა სპორტულ ტანვარჯიშში. საველდებულო ვარჯიშების შემდეგ მოზარდთა პირველ თანრიგში ჭაბუკთა შორის დაწინაურდა თბილისელი ტურგენიანი — 50,9 ქულა. გოგონათა შორის წინ იყო ხაშურის გუნდის წევრი მოსიძე — 31,1 ქულა.

მოზრდილთა პირველ თანრიგში ჭაბუკთა შორის საველდებულო პროგრამის შემდეგ დაწინაურდნენ თბილისის განათლების განყოფილების სპორტსმენები ბ. აბრამიშვილი, თ. კარბელაშვილი და თ. ბარამიძე. ამავე თანრიგში გოგონათა შორის წინ არიან თბილისის ლენინის რაიონის მოსწავლეები რომელაშვილი, ხარაშვილი და ადამაშვილი.

ოსტატთა პროგრამით შეჯიბრებაში მონაწილეობს სულ 4 ჭაბუკი, მათ შორის თბილისის განათლების განყოფილების წარმომადგენელმა კ. ხოდიკიანმა დააგროვა 40,7 ქულა.

მეტად საინტერესოდ მიმდინარეობს ბრძოლა გოგონათა შორის, რომლებიც ოსტატობის პროგრამით გამოდიან. 2 იარაღის შემდეგ ლიდერობდა თბილისის განათლების განყოფილების გუნდის წევრი ა. მარიამიძე, მაგრამ დარჩენილ ორ იარაღზე ჩინებულად ივარჯიშა ჯერ კიდევ სულ ნორჩმა ტანმოვარჯიშემ დინარა ჯანუყაშვილმა (თბილისის ლენინის სახ. რაიონი). საველდებულო პროგრამის დამთავრებისას მარიამიძესა და ჯანუყაშვილს აღმოჩნდათ ქულათა თანაბარი რაოდენობა — 32.35. მესამე ადგილზე გამოვიდა ვ. შიროკაია — 32,2 ქულა.

მხატვრულ ტანვარჯიშში მეორე თანრიგში I-II ადგილები გაიყვეს ტყუპმა დებმა, ს. და ლ. ავანესოვებმა (თბილისი).

ლ. თუშიშვილი

* * *

სურათზე: პირველი დიდი შეჯიბრება ჰატარებისათვის. ისინი თვალს არ აცილებენ თავიანთი ამხანაგის ვარჯიშს — ნეტავი არ შეეშლებოდეს!

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ტბათა მხარეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურისტის შთაბეჭდილებები

კ. ასტახიშვილი

სურათზე: ჰელსინკის რკინიგზის სადგურის მოედანი.

ფოტო კ. ასტახიშვილისა.

ლახტში გამართულ მოთხილამურეთა მსოფლიო პირველობაზე საქართველოდან ოთხნი მივდიოდით, მაგრამ გამგზავრების წინ ალმა-ატიდან დეპეშა მივიღეთ სპორტის ოსტატ ლ. ფანჯაკიძისაგან, რომელიც რესპუბლიკის სამთო - მოთხილამურეებს ახლდა საკავშირო შეჯიბრებაზე. იგი გვატყობინებდა, რომ ცუდი ამინდების გამო ადგილზე შეფერხდა. ამიტომ მოსკოვისაკენ სამნი—ვ. მეახიშვილი, ა. ბალაევიჩი და ამ სტრიქონების ავტორი გავემგზავრეთ. 27 თებერვალს საბჭოთა დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად მოსკოვ-ჰელსინკის მატარებლით გავემართეთ „ათასი ტბის ქვეყნისაკენ“ ან „ტბათა მხარეში“, როგორც ფინელები უწოდებენ თავიანთ ქვეყანას.

მესამე დღეს ფინეთის ტერიტორიაზე ამოვყავით თავი. შევედით იმ ზონაში, რომელიც ერთი საათით ჩამორჩება მოსკოვის დროს. ამიტომაც დროის ჩვენი მაუწყებლებიც ახალ ყაიდაზე გადავიყვანეთ.

თავისი თავი ამ ქვეყანამ გაგვაცნო ტანაშოლტილი ფიჭვნარითა და ცნობილი „მანერჰეიმის ხაზით“ რომელმაც წარსულის თუმცა უსიამოვნო მოგონებანი გამოიწვია ჩვენში, მაგრამ ახლა თოვლის სქელ წამოსასხამში გახვეული მდუმარედ ვვადევნებდა თვალს.

მსოფლიო ჩემპიონატის საზეიმო გახსნა დანიშნული იყო 1 მარტს, საღამოს 19 საათზე. არ გვინდოდა ამ ცერემონიალს დავკლებოდით და ჰელსინკის გვერდის ავლით პირდაპირ იქით გავემართეთ. გულთბილი შეხვედრა მოგვიწყეს საბჭოთა ტურისტებს, როგორც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, ისე აღრე ჩამოსულმა სხვადასხვა ქვეყნების კოლეგებმა.

ვჩქარობდით. ზეიმის დაწყებამდე ორი საათიღა რჩებოდა. ჩვენ კი დაბინავებულნიც არ ვიყავით. კომფორტაბელურმა ავტობუსმა ქალაქის გარეუბანში სპეციალური სასწავლებლის ოთხსართულიან შენობასთან მიგვიყვანა, რომელიც იმ ხანებში სტუმრებისათვის დაეთმოთ.

ქალაქი ლახტი თავისი არსებობის 53 წელსა და 60 ათასამდე მცხოვრებს ითვლის. იგი ყველა მისი ატრიბუტით არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი ბურჟუაზიული ქალაქებისაგან. განთქმულ ფინურ სახლებს კი მხოლოდ მის გარეუბნებში ვხვდებით. ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა გარემოებამ. ხელმოკლეთა ძირითად ტრანსპორტს წარმოადგენს ველოსიპედი. ველოსიპედით დადიან სამსახურში, გასართობად, სასწავლებელში.

ლახტი საავეჯო მრეწველობის ცენტრს წარმოადგენს, ამიტომაც სამართლიანად უწოდებენ „დურგალთა ქალაქს“. წმყვანი ადგილი კი ავეჯის ფაბრიკა „ასკოსა“ და თხილამურების ქარხანას „ვალტონენს“ უკავიათ. 1923 წლის შემდეგ ყოველ წლიურად მარტში აქ ტრადიციულად იმართება საერთაშორისო შეხვედრები სათხილამურო სპორტში, სადაც არა ერთხელ წარმატებით გამოსულან საბჭოთა სპორტსმენები.

საკმაოდ ციოდა. ყინვისაგან თავდაცვის ერთ-ერთ საშუალებას ქალაქის მცხოვრებლებისათვის არაყი წარმოადგენს, მაგრამ „მშრალი კანონის“ გამო ისინი იძულებული ხდებიან დაჯერდნენ „პილატეს ცრემლების“ იმ დოზას, რომლის მიღება ბარათებით შეუძლიათ. გეგმის „გადაჭარბებით“ შესრულების შემთხვევაში კი სასტიკად ისჯებიან — კარგავენ ბარათებით სარგებლობის უფლებას.

ჩვენი „რეზიდენციის“ — სპეციალური სასწავლებლის ეზოში შევედით თუ არა, გერმანულ და რუსულ ენებზე მოგვესმა მისალმებანი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტურისტებს დაესწროთ ჩემპიონატზე ჩამოსვლა და მათთვის განკუთვნილ ადგილებზე. უკვე მოკალთებულიყვნენ, ჩვენს მეზობლად. გადავწყვიტეთ ერთად წავსულიყავით ჩემპიონატის საზეიმო გახსნაზე, რომლის დაწყებამდე ნახევარი საათიღა რჩებოდა.

ბინდდებოდა, როცა გავემართეთ „თეთრი სტადიონისაკენ“. გავცდით თუ არა ქალაქს ჩვენს თვალწინ გადაიშალა შესანიშნავი სანახაობა — გირლიანდებითა და ალმებით მორთული, ელნათურებით გაჩირაღდნებული კრატერისებური ადგილი, სადაც 70-80 ათასამდე მაყურებელს მოეყარა თავი. ირგვლივ მოჩანდა სამი სხვადასხვა ზომის ცადაზიდული ტრაპლინი.

(დასასრული იქნება)

⊙ პრაღა. ჩეხოსლოვაკიის ეროვნული თავდაცვის მინისტრმა მიიღო განთქმული მძლეოსანი, პოდპოლკოვნიკი ემილ ზატოპეკი. სპორტსმენმა მინისტრს მოახსენა თავისი გადაწყვეტილების შესახებ, რომ იგი ტოვებს სარბენ ბილიკს და სურს იმუშაოს არმიაში ფიზიკური კულტურის დარგში.

⊙ ვარშავა. პოლონეთში სტუმრად იყო გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მოკრივეთა ნაკრები გუნდი. მატჩი პოლონეთის პირველ ნაკრებ გუნდთან გერმანელებმა წააგეს ანგარიშით 2 : 18, ხოლო მეორე გუნდთან დაამთავრეს ფრედ — 10:10.

⊙ ლაიპციგი. საერთაშორისო საგაფხულო ბაზრობასთან დაკავშირებით აქ მოეწყო შეჯიბრება მძლეოსნურ კროსში პოლონეთის, ჰოლანდიის, საფრანგეთის, იუგოსლავიისა და გერმანიის სპორტსმენთა მონაწილეობით.

რბენა 1.500 მეტრზე ქალთა შორის მოიგო შტამნიკმა (იუგოსლავია) — 5.13,6, ხოლო მისმა თანამემამულემ მურატმა მოიგო კროსი 2,5 კილომეტრზე — 7.23,8. კროსში 7,5 კილომეტრზე საუკეთესო იყო ჰეინიკე (გდრ) — 23.26,8.

⊙ ლონდონი. „უემბლის“ სტადიონზე 5.000 მაყურებელი ესწრებოდა ინგლისისა და შოტლანდიის ქალთა ნაკრები გუნდების მატჩს ჰოკეიში. იგი მოიგეს ინგლისელებმა — 5 : 2.

⊙ ვარშავა. იტყობინებიან, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა ამხანაგური მატჩის შემდეგ ასეთივე შეხვედრა გაიმართება ამერიკისა და პოლონეთის გუნდებს შორის.

⊙ კოპენჰაგენი. ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფრენბურთში დანიისა და ჰოლანდიის ნაკრებ გუნდებს შორის დამთავრდა დანიელთა გამარჯვებით — 3 : 0.

⊙ ფილადელფია. ოლიმპიურმა ჩემპიონმა სიმაღლეზე ხტომაში ჩარლზ დიუმასმა დაძლია 208 სმ. ე. სოუტერნმა 440 იარდი გაირბინა 46,2 წამში.

⊙ ბუდაპეშტი. ადგილობრივ არმიელ ფეხბურთელთა გუნდმა ანგარიშით 3 : 1 დაამარცხა ზაგრების „დინამო“.

⊙ ბარსელონა. 70 ათასი მაყურებელი ესწრებოდა იტალიის „ბოლონიასა“ და ადგილობრივი „ბარსელონას“ მატჩს ფეხბურთში. საინტერესო შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2 : 2.

⊙ ბერლინი. გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მძლეოსნობის ფედერაციის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მომდინარე წელს ჩატარდეს მატჩი სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მძლეოსანთა შორის. ვაჟების შეხვედრა დანიშნულია 20-21 სექტემბერს აუგსბურგში, ქალებისა — 23 სექტემბერს მიუნჰენში.



პირველი მონაწილეობა და პირველი წარმატება

ამას წინათ მოსკოვში დამთავრდა სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკში“ შემავალი უმაღლესი სასწავლებლების პირად-გუნდური საკავშირო პირველობა ჭიდაობა სამბოში. ამ შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოჭიდავეები — პირველად იღებდნენ მონაწილეობას. ამიტომ, ისინი დაშვებულ იქნენ მეორე ჯგუფის გუნდების ასპარეზობაში, სადაც 18 გუნდს შორის გამარჯვებული პირველ ჯგუფში გადასვლის უფლებას მიიღებდა. პირველობის დებულება ითვალისწინებდა აგრეთვე პირად ჩათვლაში მეორე ჯგუფის მოჭიდავეებს შორის პირველ-მეორე ადგილებზე გამოსულთა დაშვებას, პირველი ჯგუფის სპორტსმენებთან ერთად, ჩემპიონის წოდების მოპოვებისათვის ბრძოლაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტულ ღირსებას იცავდნენ რ. ლომსაძე, გ. ჩიტაიშვილი, დ. კვირტია, თ. ელერდაშვილი, გ. ღოღობერიძე, შ. ფაფიაშვილი, მ. ალნიაშვილი და ზ. ჩიკვილაძე (გუნდის წარმომადგენელი — კ. შეყრილაძე).

ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა მაღალ დონეზე, მონდომებით ჩაატარეს მთელი ასპარეზობა და დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწიეს. მათ დიდი უპირატესობით დამამარცხეს მოწინააღმდეგეთა გუნდები, პირველი ადგილი დაიკავეს და 12 ქულით გაუსწრეს მეორე ადგილზე გამოსულ სომხეთის სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდს.

წარმატებას მიაღწიეს გუნდის ცალკეულმა წევრებმაც. თ. ელერდაშვილმა, გ. ღოღობერიძემ და ზ. ჩიკვილაძემ პირველი ადგილი დაიკავეს მეორე ჯგუფის მოჭიდავეთა შორის. ზ. დენტოშვილმა გაიყო პირველი-მეორე ადგილი, ხოლო რ. ლომსაძე მეორე ადგილით დაკმაყოფილდა. ყველა ამ მოჭიდავემ განაგრძო ბრძოლა პირად ჩათვლაში ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად. ამ საპატიო წოდებას ზ. ჩიკვილაძემ მიაღწია. ზ. დენტოშვილი თავის წონით კატეგორიაში მესამე საპრიზო ადგილზე გამოვიდა.

მომავალ წელს უნივერსიტეტის სამბისტთა გუნდი მონაწილეობას მიიღებს პირველი ჯგუფის გუნდების ასპარეზობაში.

ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ ნომერში ვიტყობინებოდით, რომ ცნობილმა ამერიკელმა შტანგისტმა, მსოფლიო რეკორდსმენმა მძიმე წონაში პაულ ანდერსონმა დატოვა მოყვარულთა რიგები და გადავიდა პროფესიონალებში. იგი გამოდიოდა სცენებზე სხვადასხვა ტრიუკებით და საკმაოდ წარმატებით ახორციელებდა თავის ბიზნესს. მაგალითად, დიდი პოპულარობით სარგებლობდა მაყურებელთა შორის ასეთი ნომერი: ანდერსონი დგებოდა სპეციალურად დამზადებულ კოშკურაზე და სქელი ღვედებით კისერზე იკიდებდა ფიცარნაგს, რომელზეც ისხდნენ დაწყებითი კლასის მოსწავლეები მთელი შემადგენლობით თავიანთი კლასის დამრიგებელთან ერთად.

ამის შემდეგ ანდერსონმა ხელი მოაწერა კონტრაქტს კეტჩში (ამერიკული ჭიდაობა) გამოსვლაზე. მისი პირველივე შეხვედრები გამარჯვებით დამთავრდა.

სურათზე, რომელიც ამოღებულია ერთ-ერთი უცხოური ჟურნალიდან, ჩანს როგორ აგზავნის ანდერსონი (მარჯვნივ) მოწინააღმდეგეს იატაკზე ძლიერი დარტყმით.



ჩატარდა ყვარლის რაიონის სკოლების შეჯიბრება მძლეოსნობაში, ფრენბურთსა და ტყვიით სროლაში. დიდი წარმატება ხვდათ წილად ყვარლის მეორე საშუალო სკოლის მძლეოსნებს, რომელთა წარმომადგენლები თანმიმდევრულად გამარჯვებულნი გამოვიდნენ 100, 1500 და 5000 მეტრზე ვაჟთა შორის და 100 და 800 მეტრზე ქალთა შორის რბენაში. ფრენბურთელთა ასპარეზობაში წარმატებით გამოვიდნენ ახალსოფლის მოსწავლე გოგონათა და ყვარლის პირველი საშუალო სკოლის ვაჟთა გუნდები. სროლაში პირველობა ყვარლის მეორე სკოლამ დაისაკუთრა.

გ. გურასპიშვილი.

* * *

თიანეთის რაიონის პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში მონაწილეობას იღებდა შვიდი გუნდი. მათ შორის უძლიერესი აღმოჩნდა ტუშურების მოჭიდავეთა კოლექტივი, რომლის ხუთმა წარმომადგენელმა რაიონის ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა.

ა. ბულაური.

* * *

ხაშურში ჩატარდა რაიონული შეჯიბრება კალათბურთში პიონერულ რაზმეულებს შორის. გოგონებიდან გაიმარჯვა ქალაქის პირველმა საშუალო სკოლამ, ხოლო ვაჟებიდან — რკინიგზის მე-13 საშუალო სკოლამ.

შ. ლურსმანაშვილი

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორის — 3-99-15, 3-93 მდივნის ბ. და განყოფილებების — 3-90-34, მორი გისა და გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02411